საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10357/01
04/10/2021

10357-01-2-202110041044

შპს „ქეშალოს“ დირექტორს ბატონ დუნიალი ნაბიევს
მის: მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქეშალო, მე-10, I ჩიხი, N6
ელ. ფოსტა: eeee-1965@mail.ru

ბატონო დუნიალ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 22 სექტემბრის N17144 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქეშალოში ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავი) მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

- სკრინინგის განცხადებაში მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი შინაარსის მქონე ინფორმაცია. კერძოდ, განცხადების თანახმად, შპს „ქეშალო“ გეგმავს ავტოგასამართი სადგურის მოწყობასა და ექსპლუატაციას, თუმცა ამასთან მითითებულია, რომ „ავტოგასამართი სადგური მდებარეობს თბილისი-წითელი ხიდის ავტომაგისტრალის მიმდებარედ“ (გვ. 3), „ავტოგასამართი მოედნის ტერიტორიაზე მოწყობილია შემკრები არხი, რომელსაც გააჩნია ნავთობდამჭერი და მიმღები ბეტონის ავზი“ (გვ. 8). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს უკვე მოწყობილია თუ არა ავტოგასამართი სადგური. ამასთან, გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს ავტოგასამართი სადგურის არსებული მდგომარეობის შესაბამისად. გარდა ამისა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, საპროექტო ტერიტორიაზე (ს/კ 83.06.11.743) ფიქსირდება შენობა-ნაგებობა, რომლის ფუნქციური დანიშნულებაც ასევე საჭიროებს დაზუსტებას;
- იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილია ავტოგასამართი სადგური, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ავტოგასამართი სადგურის ინფრასტრუქტურის, მათ შორის, რეზერვუარების მოწყობის დრო (წელი/თვე), ასევე შესრულებული და შესასრულებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, ავტოგასამართ სადგურში გათვალისწინებულია სამი, თითოეული 9 $მ^3$ ტევადობის მიწისქვეშა რეზერვუარის

მოწყობა-ექსპლუატაცია, საიდანაც ორი იქნება ბენზინის და ერთი დიზელის საწვავის მისაღებად. ამასთან, სკრინინგის განცხადების თავში „ტექნოლოგიური პროცესის მოკლე აღწერა“ აღნიშნულია, რომ დიზელის საწვავის მისაღებად გათვალისწინებულია ერთი 8 $м^3$ ტევადობის ავზი, ხოლო ბენზინისთვის - ორი, თითოეული 8 $м^3$ ტევადობის. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს რეზერვუარების/ავზების მოცულობა;

- დაზუსტებას საჭიროებს ჩანაწერის მნიშვნელობა: „საწარმო საპროექტო სიმძლავრეს მიაღწევს მიმდინარე წლის ნოემბერში“;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 60 მეტრით, თუმცა მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 33 და 40 მეტრში ფიქსირდება კერძო პირის, აფთანდილ იუსუბოვის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები შენობა-ნაგებობით (ს/კ 83.06.12.812; 83.06.12.813). შესაბამისად, უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, სანიაღვრე ჩამდინარე წყლები არსებული წყალშემკრები სალექარის (მექანიკური, აღჭურვილი ნავთობდამჭერით) გავლით სადგურის ტერიტორიიდან გაედინება მიმდებარე ტერიტორიაზე, რელიეფის ზედაპირზე. სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს სალექარში წყლის გაწმენდისა და შემდგომი მართვის საკითხები;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, ავტოგასამართ სადგურში სახიფათო ნარჩენები არ წარმოიქმნება, თუმცა აღნიშნულია, რომ ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის შემთხვევაში, წარმოქმნილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული შლამის დროებით განსათავსებლად გათვალისწინებულია სპეციალური ფოლადის რეზერვუარი. შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს კორექტირებას;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული ინფორმაცია ნავთობპროდუქტების მიღების და ავზებში ჩატვირთვის შესახებ (ტრანსპორტირების ტიპის და პერიოდულობის მითითებით);
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტზე ზემოქმედებისა და მისი შემდგომი მართვის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე